# სახალხო გაზეთი

№ 483 — პარასკევი, 23 დეკემბერი, 1911 წ. — № 483

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.**
**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთის" კანტორა
ღიაა დილის 9 საათიდან
საღამოს 8 საათამდე

**სახალხო გაზეთი** ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება
**სურათებიანი დამატება.**
(კვირაობით)

**პრემიად** 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**
ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,
რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**
დანარჩენ შემთხვევებში უფასოთ.

**ექვსი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული ,,გრდემლი'' მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ნაწილობით** 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**
1) ,,სახალხო გაზეთი''-ს კანტორაში, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.
3) ფოსტით: ТИФЛИСЪ, ГАЗ. „САХАЛХО ГАЗЕТИ". П. ЯЩ. 190.

**წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:**
წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას და ფულს გამოგზავნიან არა უგვიანეს **29 დეკემბრისა, საკომისიოდ მიეცემა 5%.**


აწ გარდაცვალებულ
## თ-დ ალექსანდრე ნიკოლოზის ძის ფალავანდიშვილის
**სახლობა** გულითად მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ, რომელთაც სამგლოვიარო დეპეშების გამოგზავნით, თუ დასაფლავებაზე პირადის დასწრებით პატივი სცეს განსვენებულის სახელს. (1.1007.1)


—::: ბეწვეულისა და ქუდების :::
სპეციალურ **„რენომე"** მაღაზიაში
**მიხეილის ქუჩ. № 36, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ.**
მივიღეთ დიდ ძალი სასეზონო საქონელი: კაცის ქუდები და შლიაპები 1 მ. 50 კაპეიკიდან 15 მანეთამდე; ბოა, მუფტები და ქალის ქუდები 1 მ.--50 მანეთამდე. აგრედვე გვაქვს კაცის კეპკები--1 მ.-დან--3 მანეთამდე.
3. 998. 3.
პატივისცემით **გრიგორიანცი,**

## ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
**განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.
**ტელეფონი № 509.**
სტაციონალურ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღე და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები;

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^{1}/_{2}$ ს. 11 ს.
**დავთიანი რ. ს.** შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1 2 ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10 12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9 10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2 3 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2 $2^{1}/_{2}$ საათ., **დროებით წასულია.**
**მზარეულოვი მ. ი.** კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1 $1^{1}/_{2}$ ს.
**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10 12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^{1}/_{2}$ 1 ს.
**ორემბოვსკი ნ. ს.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12 1 ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ-დღე 12 1 ს.
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოველ-დღე, 9 11 ს.
**სულაგოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12 1 ს. **დროებით წასულია.**

**წამლობა „606"-ით.**
სამკურნალოს აქვს მოწყობილი (Ehrlih-hata). აქვს აგრეთვე საკუთარი საიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი **დროებით წასულია.**
რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ. 1089. 508)

მიიღება ხელის მოწერა **20 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.**
**დ. უზნაძის წიგნზე**
# ექსპერიმენტალური პედაგოგიკა
(შესავალი)
წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში: ,,კოლხიდის'' რედაქციაში და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. ,,იმერეთში''. თბილისში: ,,სახალხო გაზეთის'' რედაქციაში.
(10 1655 3)
**ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.**

**მიიღება 1912 წ. ხელის მოწერა სახალხო საზოგადო-ეკონომიურ ჟურნალ „კოოპერაცია"-ზე წელიწადი მეორე.**

1912 წლის განმავლობაში ჟურნალი გამოვა შემდეგის პროგრამით: 1) მოწინავე წერილები საკოოპერაციო და ეკონომიურ საკითხებზე, 2 წერილები მუნიციპალურ საკითხებზე, 3) კორესპონდენციები და კოოპერატიულ ცხოვრების მიმოხილვა, **სურათებით;** 4) გამოჩენილ კოოპერატორებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფია, სურათებით; 5) თანამედროვე საზოგადო-ეკონომიურ ცხოვრების მიმოხილვა; 6) სავაჭრო განყოფილება; 7) ნარევი და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული კოოპერაციის პრაქტიკულ საკითხებზე. **ჟურნალში** მიიღებენ მონაწილეობას საუკეთესო მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ჟურნალი ღირს ქუთაისში წლიურად 2 მ. 50 კ., ნახევარ წლით 1 მ. 50 კ., თვიურად 30 კ., ხოლო ქუთაისს გარედ, გაგზავნით: წლიურად 3 მ. ნახევარ წლით 1 მან. 6 კ., თვიურად 40 კ. ჟურნალი ცალკე ნომრებად არ გაიყიდება.

**წლიური ხელის მომწერლები** მიიღებენ 1912 წ. განმავლობაში ჟურნალის 40 №№ და რამდენიმე მთლიან **ბროშურებს** დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კოოპერატიულ ცხოვრებაზე და პრაქტიკულ საკითხებზე. გარდა ამისა ყველა ის ხელის მომწერლები, რომლებიც მოაწერენ ხელს ჟურნალზე მიმდინარე 1911 წ. დეკემბრის 31-მდე და შემოიტანენ სრულად წლიურ გადასახადს, 1912 წ. პირველ ნახევარში მიიღებენ საჩუქრად მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამაარსებელის, **ნ. ვ. გიბნერის** საუცხოვო წიგნს ქართულად: **„კოოპერაციის სისტემები"** რომელიც ცალკე ეღირება 1 მ. 20 კ.

**ვთხოვთ** ყველა იმათ, ვინც თანაუგრძნობს ჟურნალის გამოცემას და სურს კოოპერაციის განვითარება ჩვენში, გამართონ ჟურნალზე ხელის მოწერა და მისთვის განცხადების მიღება, რაისთვის მათ გაეგზავნება საკვიტანციო წიგნები პირველ მოთხოვნილებისათანავე.

**განცხადების ფასი:** 1 გვერდზე სტრიქონი პეტიტით 30 კ., უკანასკნელებზე 20 კ.
ყოველივე წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ასეთ ადრესით; Кутаисъ, редакція журна а „Кооперація".

1911 წლის განმავლობაში გამოსულ ნომრებში მოთავსებულია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: ,,დარიგება მომხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთათვის,'' ,,გამგეობის პირველი ნაბიჯები"; ,,სასოფლო სამეურნეო სინდიკატები საფრანგეთში''; ,,სახელოსნო კოოპერატივი'', ,,მომხმარებელ საზოგადოების წესდება''; გამოჩენილ კოოპერატორების ბიოგრაფია; ლევ. ტოლსტოისა, პროფ. მიგულინისა, პროფ. კაბლუკოვისა, პროფ. კაუფმანისა და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და პროფესორ-ეკონომისტების აზრი კოოპერაციის მნიშვნელობაზე; წერილები ნოე ჟორდანიასი, ვ. თ. ტოტომიანისა და სხვების და აგრეთვე სურათები კოოპერატიულ ცხოვრებიდან.

**1911 წლის კომპლექტი ღირს 1 მ. 50 კ.**
1912 წლის ხელის მომწერლებს, რომლებიც გამოგზავნიან ფულს 31 დეკემბრამდე, 1911 წ. ნომრები დაეთმობათ მხოლოდ 75 კ.
(6.1654.)
რედაქტორ-გამომცემელი **იასონ გაბილაია.**

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 სათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 197)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 2 11 საათამდე და საღამოს 5 7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100 1534 57).

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^{1}/_{2}$ ს. 10 ს,
**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
**. ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 $11^{1}/_{2}$.
**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
**წამლობა „606"-**
(წლ. 1090 236)

**დოქტორი მედიცინისა**
## ე. ი. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ. 1591 69)

**ექიმი** მ. ს. კობერიძე
**ქ. გორში**
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9 12 ს.-მდე. საღ. 5--7 სემინარიის ქუჩაზე სახლი № 1 ზანგურიძისა. (25 968 10)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**
## მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12 1 ს., საღ. 6 7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლლანოვის ქ., № 20. (წ. 1249 75).

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **ქაჯაია**
იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.2)

**ექიმი** პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.33).

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი** გ. მ. ლოლობერიძე
იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4-6 საათ. წამლობა ფოსფაციდით.
კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ--1657--2)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9--2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი** ნ. ტ. მულინი
ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12--1 საათამდე საღამოს 6--8 საათამდე. სერგევის ქ. 8. (თ. 1545 50).

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-დე და საღამოს 6 7 საათამდე.
ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100 1117 64).

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--$6^{1}/_{2}$ საათ. კახეთის ქ., № 5.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი** ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3--9 ს., საღამოთი 5--7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9 54).

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

# თაფლი
**გირვანქა აბაზად**
**საკუთარ საფუტკრისა ბარონ-ფონ კუჩენბახის**
მაღაზიაში იყიდება.
გოლოვინის პროსპ. № 6, სახლი მანთაშევისა. (2—1005—1)


## უმაღლესად ებოძათ
**წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი:** ბოქაულს მიხეილ **ჯომარდიძესა,** ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მექანიკოსს ალექსანდრე **შანიძესა,** ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწეს მელქისედეკ **ხოხიაშვილსა,** აგაშის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსს ალექსანდრე **მელიქოვსა,** ცაგერის ფ.-ტელ. განყოფილების უფროსს იოსებ **დევაძესა** და კულპის ფ.-ტელ. განყოფილების უფროსს პეტრე **შალიბაშვილსა.**

**გაამწესეს:**
აზნაური ისაკ **კლიმიაშვილი**—ბალახანის ფ.-ტელ. კანტორის მოხელედ; ფოსტალიონად ნამყოფი სვიმონ **ბერიძე**—ნაოლალევის ფ.-ტელ. განყოფილების ფოსტალიონად; თამარა **კლიმიაშვილისა**—ფ.-ტელ. შტატში და ყაზანის ფ.-ტელ. კანტორის მე-VI ხარისხის მოხელე გრიგოლ **ჩხიკვაძე**—ამავ კანტორის მე-V ხარისხის მოხელედ.

**გადაიყვანეს:**
ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის ფოსტალიონი ივანე **ფაჩულია** — ზუგდიდ-ხონის ტოს.-ტელ. განყოფილების ფოსტალიონად და ეჩმიაძინის ფოს.-ტელ. ფოსტალიონი ალექსანდრე **ჯანიაშვილი** — ალბულაღის ფოს.-ტელ. კანტორაში.

ტფ. ფოს.-ტელ. მოხელე ქალი ევგენია **გოგნიაშვილისა** დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, თანახმად თავისს თხოვნისა.

# ტფილისი, 23 დეკემბერი

**ოპოზიციის მდგომარეობა სახელმწიფო სათათბიროში.**

თუმცა სათათბიროსა და საბჭოს „საკანონმდებლო დაწესებულებებს" ეძახიან, მაგრამ ნამდვილად შინაარსი სახელს ნაკლებად შეეფერება. მთავრობა ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ საკანონმდებლო დაწესებულებანი თავის სურვილებისთვის დაექვემდებარებინა. ამ სურვილს, როგორც გუშინაცა ვწერდით, თვით სათათბიროს ხელმძღვანელი პარტიაც უწყობდა ხელსა. ამ ბოლო დროს ხომ სახელმწიფო საბჭომ თავისავე სურვილით შეზღუდა თავისი უფლება სათათბიროს იმ კანონ-პროექტის უარყოფით, რომელსაც აზრადა ჰქონდა საკანონმდებლო დაწესებულებათა საბიუჯეტო უფლებების გაფართოვება. მთავრობა ყოველის შემთხვევით სარგებლობდა და საქმით უმტკიცებდა სათათბიროს, რომ იგი მხოლოდ მთავრობის სურვილთა აღმასრულებელი უნდა იყოს. სათათბიროც ემორჩილებოდა. ხანდახან თუ სათათბირო გამბედაობას გამოიჩენდა ხოლმე და ისეთს კანონ-პროექტს მიიღებდა, რომელიც მთავრობას არ ესიამოვნებოდა, უკანასკნელი სახელმწიფო საბჭოს მიჰმართავდა და იმის შემწეობით ფრთებს აკვეცავდა „გათამამებულ" ქვედა პალატის არსებითად ზომიერ სურვილებს. თან და თან მაგრამ სისტემატიურად იზდებოდა სათათბიროს უფლებანი. ხშირად ეს შეზღუდვა წვრილმან ფაქტებში ისახებოდა, მაგრამ ამასაც დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ბოლო დროს, მაგალითად, სათათბიროს წევრმა გოლოლობოვმა სამართალში მისცა მეორე წევრი კუზნეცოვი. ხელ-შეუხებლობა დეპუტატისა საფუძველია კონსტიტუციონალიზმისა, მაგრამ მინისტრთა საბჭომ მაინც შესაძლოდ დაინახა საჩივრისთვის მსვლელობა მიეცა. თუ ერთხელ შესაძლებელი გახდა სასამართლოში მიცემა დეპუტატისა იმ სიტყვებისათვის, რომელიც საკანონმდებლო დაწესებულებაში წარმოითქვა, უეჭველია, უფრო შესაძლებელი და ადვილი გახდება იგი შემდეგში. ამ ფაქტს თავის თავად თითქოს არა აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ, თუ საქმეს პრინციპიალურის თვალსაზრისით შევხედავთ, იგი დიდ მნიშვნელოვან მოვლენად გადაიქცევა.

ასეთ პირობებში უხდება მუშაობა სახელმწიფო სათათბიროს ოპოზიციას, განურჩევლად მიმართულებისა. არამც თუ უკიდურესი მემარჯვენე დეპუტატები, მემარჯვენე პრესაც და თვით ოქტომბრისტებიც ყველას, ვინც კი მათ მარცხნით ზის, კადეტებიდან დაწყებული, არა საიმედო ხალხათა სთვლის. სამშობლოს მოღალატეებად აცხადებს ოპოზიციას მემარჯვენე პრესა და ამ ხმას ფარისევლურად უერთებენ თავის ხმას „კონსტიტუციონალისტი" ოქტომბრისტები, ოპოზიციის წინააღმდეგ პროექტების ყოველთვის სათათბიროს ხელმძღვანელი პარტია. იგი ისეთს საკითხებშიაც კი, რომელიც ცენტრსა დი ოპოზიციას აერთებს, სულიერ საზრდოს მემარჯვენე ელემენტებში ჰპოულობს. ასეთს პირობებში ოპოზიციის მუშაობა მხოლოდ კრიტიკობაში გამოისახება. ოპოზიცია უძლურია ფაქტიური ზეგავლენა მოახდინოს საკანონმდებლო მუშაობის მიმდინარეობაზე, რადგანაც შეერთებული მექანიკური ძალა მემარჯვენე-ნაციონალისტ-ოქტომბრისტებისა ყოველთვისა სძლევს ხოლმე ოპოზიციას.

ამიტომ ხმა ოპოზიციისა ყოველთვის რჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა". სათათბიროც სწორედ ეს უდაბნოა. სათათბიროს ტრიბუნიდან წარმოთქმული მშვენიერი სიტყვები სიტყვებად რჩება, მემარჯვენეთა საერთო ბლოკი კი ყოველთვის თავისებურად გადასწყვიტავს ხოლმე ყოველს საქმეს.

მომავალი არჩევნები, სხვათა შორის, იმითიცაა საყურადღებო, თუ რომელი ამ ჯგუფთაგანი გაიმარჯვებს, რომელს მეტს ნდობას გამოუცხადებს რუსეთის ამომრჩეველი. თუ მომავალ სათათბიროშიაც ოპოზიციამ ძლიერი რეალური ძალა ვერ მოიპოვა, მაშინ მეოთხე სათათბიროს მოღვაწეობაც შეფერხდება. მთავრობისთვის საჭიროა ყოველის მხრით მორჩილი სათათბირო, და კიდეც ეცდება შეჰქმნას თავისთვის სასურველი უმრავლესობა სათათბიროში. მეორეს მხრით, არც ის არის საიდუმლო, რომ ამომრჩეველსა ჰსურს ისეთი წარმომადგენელი იყოლიოს, რომელიც კანონიერების საზღვრებს არ გასცილდება, მაგრამ არც ბრმად გაჰყვება მთავრობის ყოველ-გვარ განკარგულებას და ყოველ ღონისძიებას იხმარებს, რომ სათათბიროში სისტემატიური მუშაობით განახორციელოს ის მოქალაქობრივი უფლებანი, რომელთა განხორციელებასაც ამდენი ხანია ელის რუსეთი.

თავისუფალი და შეუზღუდველი არჩევნები საშუალებას მისცემს ამომრჩევლებს თავისი სულის კვეთება გამოჰხატოს და კანონ-მდებლობა ისეთს ხალხს ჩააბაროს, რომელსაც ენდობა. მიეცემა თუ არა ამომრჩე-

ველს ეს საშუალება, ამას მაშინ დავინახავთ, როდესაც არჩევნების დრო დადგება.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

განთქმული იუდუშკა მენშიკოვი „ნოვოე ვრემიაში“ სპარსეთის თაობაზე სწერს. მენშიკოვს ძალიან გაჰღვიძებია მადა, იგი მოითხოვს: სულთმობრძავს (სპარსეთს) ტანჯვას ნუ გავუგრძელებთ, ბარემ საბოლოოდ გადავწყვიტოთ დრო-მოჭმულ და უბედურ სახელმწიფოს ბედიო“ ე. ი. ინგლისმა და რუსეთმა უნდა გაიყონ სპარსეთიო. კაციჭამია თავის „იდეის“ გამართლებასაცა სცდილობს: იგი ძალიან წაუხალისებია იაპონიისაგან კორეის დამორჩილებას, ბოსნია-ჰერცეგოვინის ავსტრიის მიერ ანექსიას და საფრანგეთისაგან მაროკოს „პროტექტორატის“ დაწესებას. წერილს მენშიკოვი ასე ათავებს:

„ეყოფათ სიცოცხლე! მათ ხელთ იყო ბევრი საუკუნე და დრო, ცდილიყვნენ და ღვთის კალთა დალოცვილ ქვეყანაში განევითარებინათ გონიერი, თავისუფალი და ადამიანური ცხოვრება. დამოუკიდებლობა ჰქონდათ და კარგი ვერა შესძინა რა ამ დამოუკიდებლობამ. სპარსეთში, როგორც ჩინეთშიაც, იყო ეროვნული დინასტია და შემდეგ იგი სხვა რჯულის დინასტიად შეიცვალა. ვერც პირველმა და ვერც მეორემ ვერ შესძლო კანონიერების დამყარება, და ხალხის შრომა სათანადო კალაპოტში ვერ ჩააყენა. შეიძლება სპარსეთს დანაწილება ისევე მოუხდეს, როგორადაც პოლონეთს. ათასის წლობით სცხოვრებდა პოლონეთი დამოუკიდებლად და ამდენსავე დროს იხრწნებოდა შინაურ უკანონობისა, ტრადიციულ უუფლებობისა და მონობისაგან. ხალხში ასეც კი ჰფიქრობდნენ: „პოლსკანე ჟონდემ სტოი“, ე. ი. პოლონეთი ანარქიითა სულდგმულობსო. ამისთანა აზრის პროტესტი იყო პოლონეთის გაყოფა, რამაც ასის წლის განმავლობაში ხალხს იმაზე მეტი შესძინა, რაც ათასწლოვანმა დამოუკიდებლობამ“... რასაკვირველია, ყოველთვის არ არის სასარგებლო ხალხისათვის ვისგანმე დაპყრობა, მაგრამ კაცობრიობის სამარცხვინოდ ხან და ხან მონობაც კი სასარგებლოა. ღმერთმა დაიფაროს, კეთილშობილი ეროვნება მასზე ველურმა და **მდაბალმა** დაიმორჩილოს! ასეთ პირობებში ჩავარდნილი ხალხი დაიღუპება. მაგრამ **უმაღლეს** (განათლებულ) ძალისგან დამორჩილება, ისეთ მებრძოლთაგან დაპყრობა, ვით ინგლისი და რუსეთია, დამონებულ ხალხს კი არ დაჰჩაგრავს, არამედ თავისუფლებას შესძენს. გავა დრო და დარწმუნებული ვარ, პოლონეთსაც, ინდოეთსაც, ეგვიპტეს, კორეასა და მაროკოსაც დაუბრუნებენ დამოუკიდებლობას, მაგრამ ანარქიის მაგივრად თან მიჰყვებათ სახელმწიფოს კულტურა და გარდა დამოუკიდებლობისა—მისი დაცვის უნარიც ექნებათ. მგონია, სხვა გზა ხსნისა არც სპარსეთს აქვს.

როგორცა ჰხედავთ, „თვალბედითმა შავმა ყორანმა“ უკვე დასჩხავლა სპარსეთსა და დაღუპვას უქადის.

# სახელმწიფო საბჭო

**აკიმოვი თავჯდომარეობს.** სხდომის შეწყვეტამდე განხილულ 32 კანონპროექტთაგან კამათს იწვევს კანონპროექტი სახაზინო მინერალური წყლების საშუალებათა სპეციალიზაციის ვადის გადიდებისა და მათი ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

**საფინანსო კომისია** წინადადებას იძლევა კანონ-პროექტი სათათბიროს რედაქციით მიიღონ.

**ზინოვიევი.** საზოგადოდ ყველა სახაზინო კურორტების არა სასურველ მდგომარეობას აღნიშნავს და მოითხოვს პროექტის პირველ ნაწილის მიღებას, ხოლო მეორის უარის ყოფას.

პროექტს იცავს **ვაჭრობის მინისტრის ამხანაგი** კონოვალოვი. იგი ამტკიცებს, კურორტების გასაუმჯობესებლად საჭიროა გამგეობათათვის ახალი თანხის გადაცემაო.

**დიმიტრიევი და ერმოლოვი** კანონ-პროექტის დანაწილების შეუძლებლობას აღიარებენ, რადგან, მათის აზრით, ეს გარემოება შეაფერხებს კურორტების მართვა-გამგეობის მოქმედებას და ცუდ გავლენას იქონიებს არა მარტო კურორტების ინტერესებზე, არამედ მცხოვრებლებისაზედაცაო.

ხმის უმრავლესობით კანონ-პროექტი სათათბიროს რედაქციით მიიღეს. დანარჩენ კანონ-პროექტთაგან, სასკოლო შენობათა ასაგებად დამატებითი სამი მილიონის გადადების კანონ-პროექტი უარჰყვეს, სახალხო განათლების სამინისტროში 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში გადადებულ თანხის სიცოტავე არ არის აღნიშნულიო.

30 წვრილმანი კანონ-პროექტი სათათბიროს რედაქციით მიიღეს.

სხდომის განახლების შემდეგ **გოლუბევის თავჯდომარეობით** უკამათოდ მიიღეს 24 წვრილმანი კანონ-პროექტი, სათათბიროდან წარდგენილი. სამი კანონ-პროექტი საფინანსო კომისიას გადაეცა წინასწარ განსახილველად.

შემდეგი სხდომა მოხდება 7 იანვარს. სხდომის დასაწყისში სახელმწიფო მდივანმა საბჭოს ხელმწიფის მიერ დამტკიცებული კანონ-პროექტთა სია გააცნო, მათ შორის ვარშავა-ვენის რკინის გზის გამოსყიდვის პროექტიც.

# დეპეშა

**ქუთაისი.**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

შავი ქვის მრეწველთა კრებამ საბჭოს წევრებად აირჩია კიტა აბაშიძე და სოლომონ წერეთელი. საბჭოს ძველმა წევრმა თ-მა ივანე ნიჟარაძემ თუმცა ბევრი ხმა მიიღო, მაგრამ არჩეული არ აღმოჩნდა.

**პეტერბურგი.**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

პალატაში უკვე დასრულდა სოციალ-დემოკრატთა საქმე. ბევრს კატორგა მიუსაჯეს. ქართველებს ჯაშსა და დუმბაძეს ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტეს. განაჩენის გამოცხადებამდე დუმბაძე და სტუდენტი ვასილიევი სასამართლოს დარბაზიდან გაიქცნენ. დააპატიმრეს ათი კაცი, რომელთაც დახმარების აღმოჩენა ჰბრალდებათ.

**პეტერბურგი.**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

სინოდმა გადასწყვიტა ინგლისიდან სტუმართა მოსვლის გამო ნევის ლავრაში წირვა გადაიხადოს. ამ წირვის დროს, სხვათა შორის, არქიმანდრიტ გეორგაძეს ეპისკოპოსად აკურთხებენ.

# ახალი ამბავი

**ტფილისი.**

✦ **ცნობილ ყაჩაღის ნიკა კასრაძის მოკვლა.** ტფილისში დღეში შემდეგი ცნობა მოვიდა: „21 დეკემბერს შაშიანის ტყეში (თელავის მაზრა) შეტაკება მოუხდათ უცნობ ყაჩაღებსა და პოლიციელებსა. სროლამ დიდხანს გასტანა. არავინ დაჭრილა. ყაჩაღები ტყეში უკვალოდ მიიმალნენ. 22 დეკემბერს პოლიციამ ყაჩაღების კვალს კვლავ მიაგნო მუკუზანის (სიღნაღის მაზრა) აგარაკში, ყაჩაღები ეფრემ ისაკოვის ვენახში იყვნენ. პოლიციელები, რომელთაც თელავის მაზრის უფროსი გამბერგი მეთაურობდა, ვენახს გარს შემოერტყნენ და ყაჩაღებს სროლა აუტეხეს. უკანასკნელებმაც სროლითვე გასცეს პასუხი. ცხარე და შეუწყვეტელმა სროლამ ერთს საათს გასტანა. მოკლულ იქმნა ცნობილი ტერორისტი და სისხლის მღვრელი, ყაჩაღთა ბრბოს ბელადი ნიკა კასრაძე. მოკლული აღმოჩნდა აგრეთვე მისი შემნახველი სერგო ასანიძე. დაიჭრა მუშა გიორგი აჯიმამუდოვი—ყაჩაღის ამხანაგი. პოლიციელების მხრით დაჭრილი და მოკლული არავინ არის“. ნიკა კასრაძე აგერ ექვსი წელიწადი რაც ყაჩაღად გავარდა და უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში კახეთში იმალებოდა. მას ბრალდებოდა, სხვათა შორის, პოდპორუჩიკ პალმოვისა და სანაკოევის მოკვლაში მონაწილეობის მიღება (ქიზიყში). ტფილისში ბრალდებოდა მრავალ ხალხის დახოცვა, შეიარაღებული თავდაცემა და ძარცვა-რბევა. სხვათა შორის, ბრალდებოდა: გორის მაზრის უფროსის გუგუშვილის მოკვლა, ტფ. სასულიერო სემინარიის ინსპექტორის დობრონრავოვის მოკვლა, ტფ. პირველ საპოლიციო უბნის სამმართველოში ყუმბარის შეგდება და აფეთქება, ვაჭარ ბადინოვზე თავდაცემა და მოკვლა და სხვა...

✦ **საქალაქო არჩევნების გამო.** როგორც ვწერდით, უკანასკნელ საქალაქო არჩევნების გამო რამდენიმე ამომრჩეველმა საჩივარი შეიტანა გუბერნატორთან. ამ საჩივრებს ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულო დღეს განიხილავს.

✦ **სახლის დამქირავებელთა და სახლის პატრონთა საზოგადოებას** განუზრახავს მომავალ გაზაფხულიდან პრაქტიკულ მოქმედებას შეუდგეს. მაისში სადგომ სახლის აგებას აპირებს.

✦ **ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა საპენსიო წესდება** ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ უკვე დაამტკიცა.

✦ **ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო კომისიამ** დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა, რათა ქალაქის საბჭომ საბაღოსნო სასწავლებელში ორი სტიპენდია დაარსოს ლ. ტოლსტოისა და განსვენებულ ხმოსან ნ. ხუდადოვის სახელობაზე.

✦ **ქალაქის ბუჰგალტერიის რეორგანიზაცია.** ტფილისში ჩამოვიდნენ პროფ. სივერსი, ქალაქის მთავარი ბუჰგალტერი ბოვშიკი და მისი თანაშემწე კარევი, რომელნიც უკვე ეცნობიან ქალაქის ბუჰგალტერიის საქმეს იმ აზრით, რომ 1 იანვრიდან ორმაგი იტალიური ბუჰგალტერია შემოიღონ. 26 დეკემბერს ჩამოსულთა თანადასწრებით ქალაქის ბუჰგალტერიის ყველა მოსამსახურის კრება მოხდება. კრებას დაესწრება აგრეთვე ბათომის ქალაქის მთავარი ბუჰგალტერი ბ-ნი ჩიხლაძე, რადგანაც ბათომშიაც განუზრახავთ ორმაგ ბუჰგალტერიის შემოღება.

✦ **ქალაქის გამგეობის მდივანმა** ი. ა. თამამშევმა ამ თანამდებობას თავი დაანება. მის ადგილას მთავარ ბუჰგალტრად ნამყოფი ს. დანდუროვი დანიშნეს.

✦ **სამხედრო ექიმი გ. დ. გაბაშვილი** კავკავიდან ტფილისში გადმოიყვანეს დივიზიის ექიმად.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარი გამგეობა ამ დღეებში მიმდინარე წლის მოქმედების ანგარიშის შედგენას შეუდგება. კარგი იქნება განყოფილებებმა მთავარ გამგეობას თავისი ანგარიშები დროზე წარმოუდგინონ.

✦ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარი გამგეობა შუამდგომლობს სოფ. ალში (გორის მაზრა) სამკითხველოს გახსნის შესახებ.

✦ **ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების მოვალენი.** ამ საზოგადოებისა სხვა და სხვა პირსა და დაწესებულებას 16,000 მანეთამდე ვალი ჰქონია. ეს ჯამი შემდგარა გასასყიდად წაღებულ წიგნებისგან საზოგადოების დაარსებიდან დღემდე. მთავარმა გამგეობამ ამ ვალების განაღდება თავის წევრს შიო დედაბრიშვილს მიანდო.

✦ **მე-XIX საუკუნის ქართულ სიტყვიერების ისტორია** პროფ. ალ. ხახანაშვილმა უკვე შეადგინა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დავალებით და საზოგადოების მთავარ გამგეობას გამოუგზავნა. გამგეობას აზრადა აქვს ხელთნაწერი განსახილველად ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებას გადასცეს და თუ მოიწონეს, მაშინ ცალკე წიგნად გამოსცეს.

✦ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივნად** მ. ა. ვერმიშევი იქმნა არჩეული.

✦ დღეს, არტისტიულ საზოგ. საკონცერტო დარბაზში **როდიჩევი** კითხულობს ლექციას „**გერცენი**“.

✦ 21 დეკემბერს საღამოს მატარებლით კიევიდან ტფილისში ჩამოვიდა **ექსკურსია** გ. ს. ზერიძის ხელმძღვანელობით; ექსკურსიაში 55 კაცია. ექსკურსანტებს მიზნად აქვთ დაათვალიერონ ყველა ღირს შესანიშნავი ადგილები, როგორც ტფილისში, აგრეთვე ახლო სოფლებსა და ქალაქებში. ერთი ნაწილი ამ ექსკურსიისა გაემგზავრება ტფილისიდან კიევში 5-ს, ხოლო მეორე—15 იანვარს.

✦ 21 დეკემბერს ტფილისში 18 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ 21 დეკემბერს ორთაჭალაში, მტკვარში, დამხრჩვალის გვამი იპოვეს. უცნობის ვინაობა ვერ გაიგეს.

✦ 21 დეკემბერს კოჯრის გზატკეცილზე ბავშვის გვამი იპოვეს.

## საზოგადოებანი და კრებები.

✦ დღეს, 23 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდება ჩვეულებრივი კრება „**საქართველოს საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებისა.** წაიკითხავენ: **გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია:** „საქორწინო წესნი და ჩვეულებანი ქართლში“, **იუსტ. აბულაძე:** „იმერეთში მოგზაურობის მოხსენებას“.

კრებაზე დასწრება გარეშე პირთაც შეუძლიანთ.

## სასწავლებლებში.

✦ **ტფ. დედათა საეპარქიო სასწავლებელში** ამ ჟამად 374 მოსწავლეა. ამათში სასულიერო წოდებისანი არიან—249, ხოლო დანარჩენი 125 მოსწავლე სხვა და სხვა წოდებას ეკუთვნის. ბინა პანსიონში აქვს 104 მოსწავლეს, ხოლო 270 მოსწავლე გარედან მოსიარულეა. მიმდინარე წელს სასწავლებელს შემოსავალი ჰქონდა 47,153 მან., ხარჯი—44,073 მან. სასწავლებელს ამ ჟამად ნაღდი ფული 142.272 მან. აქვს. სასწავლებლის 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 44,413 მან.

## სასამართლო.

✦ **პოდპორუჩიკ პალმოვისა და სტრაჟნიკის სანაკოევის მოკვლის საქმე** სამხედრო სასამართლომ 20 დეკემბერს განიხილა. როგორც თავის დროზე ვწერდით. მიმდინარე წლის 15 ივნისს თელავის მაზრის სოფელ ნაფარეულში ყაჩაღების ჭერის დროს ვიღაც უცნობებმა პოდპ. პალმოვი და სტრაჟნიკი სანაკოევი მოჰკლეს. ამ საქმის გამო სამართალში მისცეს ივანე ვარდუაშვილი, გარსევან დეკანოზიშვილი, სერგო ყარალაშვილი, ივანე გოჩიაშვილი, დიმიტრი კირვალიძე (იგივე მგალობლიშვილი), მიხეილ ბურნაძე, ლევან ესიტაშვილი, ილია პაპუაშვილი და შელქისედეკ ადამიანცი. პირველ ორს ყაჩაღთა ბრბოში მონაწილეობის მიღება და ხსენებულ მკვლელობის ჩადენა ბრალდებოდა, დანარჩენთა პირველთა დაფარვა და საერთოდ ხელის შეწყობა. სასამართლომ ბრალდებულნი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა: ივანე ვარდუაშვილსა და გარსევან დეკანოზიშვილს—ჩამოხრჩობა, ხოლო ყარალაშვილსა, გოჩიაშვილსა, კირვალიძესა, ბუხნაძესა და ესიტაშვილს—თითოს 15 წლის კატორგა; ილია პაპუაშვილს—11 წლის კატორგა. ადამიანცი სასამართლომ სრულიად გაამართლა.

## ქუთაისი

✦ სახელმწიფო სათათბიროს წევრი **როდიჩევი** 25 დეკემბერს ქალაქის თეატრში წაიკითხავს ლექციას „**გერცენი**“.

## გორი

✦ ამ დღეებში გორში მოქმედება დაიწყო ქ. შ. **წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილებამ.**

## პროვინცია.

**ს. სკრა** (გორის მაზრა). 20 დეკემბერს, ღამით აქ დასიძებულმა აზნაურმა სანდრო კვალიაშვილმა რევოლვერით მოჰკლა თავისი სიდედრი შალიკაშვილის ქვრივი. მკვლელი, რომელიც პოლიციაში თვითვე გამოცხადდა, შეიპყრეს.

## მაჰმადიანთა ცხოვრებიდან.

✦ **მაჰმადიანთა საზოგადობის** წევრთა საერთო კრება დღეს მოხდება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

# სასამართლო

**თავად დადეშქელიანის მოკვლის საქმე.**

**პ. გვიჩიანი.** განსვენებულის ძმა კონსტანტინე მირჩევდა ბრალი დაედვა თავად დადიანისა და კნეინა დადეშქელიანისათვის.

აქასვე იმეორებს **განსვენებულის ასული ნინა;** იგი ამასთანავე ამბობს: მამა ახლობელი მეგობარი იყო თავად დადიანისაო.

**ს. ახვლედიანი** (მეეტლე). ჩემის ეტლით მივიყვანე პოლიციის ჩინოვნიკი ხეჩსაძე თავად კ. დადეშქელიანის ბინაზე, ხეჩსაძემ კი სასამართლოს განუცხადა, კ. დადეშქელიანისას არასოდეს არ ვყოფილვარო. მოწმე იგონებს შემთხვევას, როდესაც კ. დადეშქელიანმა წინადადება მისცა დადიანის წინააღმდეგ ჩვენება მიეცა.

**დამცველი ესელი** სასამართლოს სთხოვს, ძოიწვიოს დაკითხული მოწმე ლონგინაშვილი.

— იყო თუ არა ვიტგენშტეინის დადიანი დუელში სეკუნდანტად?

— იყო. დადიანი ცდილობდა მოწინააღმდეგეთა შერიგებას, მაგრამ ვერ მოახერხა, როდესაც ერთი მათგანი დაიჭრა, დადიანმა სთქვა: „საწყალი თავადი, უექველია, იგი ღმერთმა დასაჯაო. დადიანის ღვთისმოსაობა ხსოვნაში ჩამრჩა.

სასამართლო ნებას რთავს ზოგიერთ დაკითხულ მოწმეებს შინ დაბრუნებისას.

**მაჭავარიანი.** მე ვიცი, რომ კახიძემ პოლიციას თავადის მკვლელობის ვინაობა შეატყობინა.

**პატიმარი ჭუმბურიძე.** როდესაც ქუთაისის საპატიმროში ვიმყოფებოდი, კახიძემ მითხრა, დადეშქელიანის მოკვლის გამო დამაპატიმრესო.

**მ. გეორგიევი.** ჩემის თანადასწრებით უცნობმა ბაკურიას 14 მანეთში რევოლვერი დაუგირავა. ბაკურია ჩემთან მსახურებდა მეუნაგირედ.

**დ. კვირკველია.** ცინცაძე 1910 წლის 1 იანვრიდან—8-დის თავის სოფელში იმყოფებოდა და შემდეგ კი ჩემთან ერთად ტყეს სჭრიდა.

**ნ. გ. გოცხაია** ამტკიცებს, ალშიბაიამ 1909 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში დაიწყო თავად დადიანთან სამსახურიო.

**თავადი წერეთელი.** მე ვნახე თავ. დადიანი საავადმყოფოს გვერდით. იგი ცხარედ ჰგლოვობდა განსვენებულს. დადიანს დიდი ხანია ვიცნობ, როგორც კარგ ამხანაგს; იგი განსვენებულს. დადიანს დიდი ხანია ვიცნობ.

# განდგომილობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის „განდეგილში“

ადამიანის ბუნება გაუფანტველ ბურუსში გახვეული საიდუმლოებაა, რომლის უხილავი ძალაც დაუჭერელი სიძლიერით იტაცებს მთელს ჩვენს არსებას და იმ ბურუსის გაფანტვისაკენ გვიხმობს. ხოლო ისეთი იდუმალობა ადამიანის ბუნების არც ერთს კუნჭულში არ ბინადრობს, როგორიც ხელოვნურ შემოქმედების ზეგავლენას ახასიათებს.

თქვენ ყველამ უწყით, რომ ხელოვნება სინამდვილისა და ჭეშმარიტების სარკეს უნდა წარმოადგენდეს; ყველას მოგეხსენებათ, რომ ასეთს სინამდვილე-ჭეშმარიტებასთან შესისხლხორცებულ ხელოვნებას შეუძლიან მთელი თქვენი არსების ერთბაშად გატაცება და მშვენიერების გრძნობათა ტალღებში განბანვა.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სინამდვილე ჩვეულებრივს ფორმებში ჩამოსხმული, ჩვეულებრივ სახით, უკვე ჩვენგან დამოუკიდებლად ან ჩვენამდე ქმნილი, მთელ თვის სიგრძე-სიგანით, ყველა თავის უმნიშვნელო და მნიშვნელოვან ნიუანსით, ერთი სიტყვით, სინამდვილე ისე, როგორც იგი ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს გადმოხატულია რომელიმე ნაწარმოებში სიტყვათა საშუალებით, ფერადებისა თუ თლილი მარმარილოს დახმარებით—ეს სულ ერთია. იმ შემთხვევაში იგი სინამდვილე ნამდვილი დაწვრილებითი განმეორება იქმნებოდა უკვე არსებულისა და, მაშასადამე, უჭეშმარიტესი ჭეშმარიტების სახე ექნებოდა. მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ასე ამ სახით გადმოცემული სინამდვილე ძირიან-ფესვიანად შეჰბოჭავდა მთელს ჩვენს არსებას და შორს სიტკბო-სიამის უფსკრულში გაიტაცებდა. მაგრამ ეს ხომ ასე არ ხდება! პირ-იქით ასეთი სინამდვილე სრულებით უძლურია რაიმე ყურადღების ღირსი გრძნობა გამოიწვიოს ჩვენს არსებაში და ჩვეულებრივ ქირ-ვარამით სავსე ყოველ დღიური ცხოვრების ზედაპირს შესამჩნევად აგვაცილოს. ფოტოგრაფიული სურათი უძლურია ესთეტიური ზეგავლენა მოახდინოს ჩვენზე, სინემატოგრაფიულად ნაჩვენები ლანდშაფტი ჩვენს ესთეტიურ გრძნობათა სფეროისათვის შეუმჩნევლად მიიწევს წინ და ჰქრება.

ერთი სიტყვით, სინამდვილესთან დაშორებული, მაგრამ მაინც ჭეშმარიტების დაღით აღბეჭდილი ხელოვნური ნაწარმოები ესთეტიურ ტკბობის უშრეტ წყაროდ იქცევა მაშინ, როდესაც თვით სინამდვილე, ფოტოგრაფიული დაწვრილებით გადმოცემული, ოდნავადაც არ ეხება ჩვენს გრძნობათა სამფლობელოს.

და აი სწორედ ეს რადიკალური წინააღმდეგობა ხელოვნურ ტკბობის პროცესის წარმოშობაში წარმოადგენს იმ სფინქსის იდუმალ სახეს, რომელიც ხელოვნურ შემოქმედების მკვლევარს ასე დაჟინებით ჩასჩერებია გონების თვალებში და მისგან პასუხს მოითხოვს. რად ხდება ეს? აი ყველაზე უფრო საინტერესო პრობლემა ესთეტიკაში. ჩვენ ამ საკითხის დაწვრილებით გადაწყვეტას აქ, რასაკვირველია, ვერ შევუდგებით. ჩვენთვის ისიც საკმარისი იქნება, თუ დაახლოვებით მაინც აღვნიშნავთ ამ პრობლემის გადაჭრის შესაძლო სახეს.

ესთეტიური ტკბობა, როგორც რომანტიულმა ფილოსოფიამ და ესთეტიკამ აღნიშნა, უძლიერესი განცდაა ადამიანის სულიერ ცხოვრების სამკვიდროში: იგი მთელი ადამიანის მთელ არსებას იპყრობს და იტაცებს, ასე რომ **შილერს** სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი ადამიანი, როდესაც იგი ესთეტიურ ტკბობას განიცდისო. ესთეტიური ტკბობა, მაშასადამე, ისეთ მომენტს წარმოადგენს, როდესაც ადამიანის **მთელი არსება უკიდურეს გატაცებას განიცდის.**

ადამიანის მთელი არსება კი მეორეს მხრით ასეთსავე ძლიერი გავლენის ქვეშ **შემოქმედებითის პროცესის** დროსაც არის ხოლმე. მაშასადამე, ესთეტიური ტკბობისა და შემოქმედების დროს ადამიანის არსება ერთსა და იმავე მდგომარეობაში ვარდება, ასე რომ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს ორი მომენტი: ტკბობა და შემოქმედება ერთისა და იმავე მდგომარეობის ორ მხარეს წარმოადგენს: იქ, სადაც ესთეტიური ტკბობაა უსათუოდ ნახავთ შემოქმედებას, თუმცა იმის თქმა კი არ შეიძლება, თითქოს ყოველს შემოქმედებას აუცილებელს თანამგზავრათ ესთეტიური ტკბობა სდევდეს თან. ამ გვარად ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ესთეტიური ტკბობა და შემოქმედება ერთი და იგივეა*).

ამას შემდეგ თქვენ თვითონ მიხვდებით, რომ ისეთს ხელოვნურ ნაწარმოებს შეეძლება ჩვენი ესთეტიური გრძნობის სამფლობელოში დაუცხრომელს გრიგალად შეჭრა და გრძნობათა ზღვის აბობოქრება, რომელიც უფრო გადაჭრით და პირდაპირ ამოქმედებს ჩვენ სულიერ ძალებს და ამგვარად ჩვენს ფსიხიკას შემოქმედების სათარეშო ასპარეზად აქცევს.

*) ამ დებულების აქ დაწვრილებით დამტკიცება ჩვენს მიზანს არ შეეფერება, აღსანიშნავია მხოლოდ, რომ არსებითად ასეთივე შეხედულებისა არის **ადოლფ ჰილდებრანდტიც** თავის შესანიშნავ გამოკვლევაში: „ფორმის პრობლემა ხელოვნებაში“.

მაგრამ რით აღწევს ხელოვნური ნაწარმოები თავის მიზანს? რით იწვევს იგი ჩვენ სულიერ ძალთა შემოქმედებას? როდესაც ხელოვანი რომელიმე კერძო ხასიათის სინამდვილეს აღწერს, მაგალითად მრისხანე თერგსა ან თვალუწვდენელს ამაყ მყინვარსა და იმ სულიერ განწყობილებას, რომელსაც ყველა ეს ხელოვანის გულში აღძრავს, როდესაც პოეტი ასეთს კერძო სინამდვილეს გადმოგვცემს, მაგრამ იმავე დროს მას ისეთს ჩარჩოებში ჩამოაყალიბებს, ისეთს სახესა და მიმართულებას აძლევს, რომ იგი ჩვენის სულის სამკვიდროში თვის კერძოობას ჰკარგავს დ ზოგადის სახით გვევლინება, მაშინ ჩვენნი სულიერნი ძალნიც ერთგვარს შემოქმედებითს პროცესში ვარდებიან: ივინი ითვისებენ ხელოვნურს ნაწარმოებში პირდაპირ ნაჩვენებს **კერძო** სინამდვილის სახეს, მაგრამ იმავე დროს მისსავე ჩარჩოებში და იმავე მასალით **ზოგადის** სახეს ქმნან. თქვენ ალბად გინახავთ რომელიმე მხატვრული ნაწარმოები, მაგალ. აივაზოვსკის აბობოქრებული ზღვის ნახატი. აქ თქვენ განსაკუთრებულ ზღვის სახეს ხედავთ, მაგრამ იმავე დროს თქვენი სულის სიღრმეში ერთგვარი მუშაობა ხდება, რომელიც თავის შედეგად ამ კერძო ნახატიდან განსაზოგადოებულს ზღვის სახეს ჰქმნის დ ამგვარად კერძო სახის გამოხატულებიდან მას საზოგადო სიმბოლოდ აქცევს: **კონკრეტობა აბსტრაქტულ სახეს იღებს,** თუმცა იგი იმავე დროს კონკრეტობად რჩება.

ეჭვს გარეშეა, რომ რაც უფრო მეტი კონკრეტობით იხატება ეს აბსტრაქტობა, მით უფრო მეტი ღირსება ექნება ხელოვნურს ნაწარმოებს.

ამგვარად ხელოვნურ ნაწაროების შეფასება ორგვარ თვალსაზრისით უნდა ხდებოდეს: იმ კონკრეტობის თვალსაზრისით, რომელიც კონკრეტობად და კერძოდ რჩება, მაგრამ აბსტრაქტულსა და ზოგად ხასიათს იღებს და იმ აბსტრაქტობისა და ზოგადობის მხრით, რომელსაც ჩვენი სულის შემოქმედება იმ კონკრეტობაში სჭვრეტს გამოხატულს. ამიტომ ჩვენი შეხედულებით მხოლოდ ორგვარი კრიტიკა არის შესაძლო და საჭირო: **კრიტიკა ესთეტიური** და კრიტიკა **ფილოსოფიური.** მართალია, მათი სავსებით ერთი მეორესაგან განწევრება უმართებულოა, მოუხერხებელი და ძნელიც არის, მაგრამ ჩვენ მაინც გვსურს მხოლოდ ფილოსოფიური თვალსაზრისით განვიხილოთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება. ჩვენ აქ განსაკუთრებით შევჩერდებით მხოლოდ მის „განდეგილზე“.

შორს საზოგადოებრივ ცხოვრების მშფოთვარე ასპარეზიდან მაღალ მყინვარის მთის წიაღში გამოქვაბულია მონასტერი. ირგვლივ სამარისებური მყუდროება დამკვიდრებულა. იგი მხოლოდ ქარით, ჰქით და ქუ-

**საერობო დარაჯთა უფროსი გოხია.** ალშიბაია დარაჯის ადგილს მთხოვდაო.

**თავმჯდომარე.** (დადიანს) თქვენ მუდამ თან გახლდნენ მცველები?

— თავად კ. დადეშქელიანისა და მისი მომხრეების ჩემს შესახებ შეუსაბამო ხმების გავრცელების შემდეგ, მცველები მახლდა. მანამდისინ კი მარტო დავდიოდი, რევოლვერი კი მუდამ თანა მქონდა. ჩემს სიცოცხლეში არავისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია, როგორც ეს მოწმეებმა უკვე მოგახსენათ.

**ბრალდებ. ცინცაძის მამა.** 1—7 იანვრამდის ჩემი შვილი სახლში იყო; შემდეგ კი სოფლის ახლოს ამხანაგებთან ერთად ტყეს სჭრიდა.

**მარკოზი.** ბრალდებულმა ალშიბაიამ წერილი გადმომცა გოგოს სახელზე, რომელშიაც იგი დარაჯად გამწესებას ითხოვდა.

**თავ. ლ. დადეშქელიანი.** ერთ დროს ციხეში ვიმყოფებოდი, სადაც ზოგიერთ ბრალდებულთ შევხვდი. დადიანსა და კნეინა დადეშქელიანის კავშირზე მთელი ქუთაისი ლაპარაკობდა.

**თავმჯ.** გვიამბეთ ფაქტები და არა ჭორი. ჭორები არ გვესაჭიროება.

— 1909 წლის ივლისში, თუ აგვისტოში ლომიძემ მითხრა, თავადის მოკვლას აპირებენო.

გამოირკვა, რომ ლომიძე 1909 წ. ნოემბრის დასაწყისამდე მეტეხის ციხეში იმყოფებოდა.

**სასამართლო** დამცველებს, ბრალმდებლის თანაშემწეს და მომჩივნის წარმომადგენელს ნებას აძლევს, წინასწარ გამოძიების მიერ გამოაშკარავებულ საბუთებით ისარგებლონ.

**დამც. გეორგაძე** შუამდგომლობს, საქმეს ჩაერთოს მოწმობა კნეინა დადეშქელიანის საავადმყოფოში წამლობის შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნა.

**ბრალდებ.** დადიანი: უმორჩილესად ვთხოვ კაპიტან სუშილნიკოვს დაათვალიეროს ბრალდებულთაგან ჩამორთმეული სამი რევოლვერი და განსვენებულის ჯიბიდან ამოღებული ტყვია და გამოარკვიოს: 1) ყველა ეს რევოლვერები ერთი სისტემისა და ყალიბისაა?, 2) ტყვია ბობოხიძისაგან ჩამორთმეულ რევოლვერისაგან არის ნასროლი თუ არა?

წინანდელი ექსპერტიზით, ტყვია ბობოხიძის რევოლვერისაგან გამოსროლილი არის აღიარებული.

სხდომა შესწყდა ახალი ექსპერტიზისათვის.

სხდომის განახლებისას **კაპ. სუშილნიკოვი** აცხადებს, რომ ტყვია ბობოხიძის რევოლვერით ნასროლი არ არის; რევოლვერები ყველა „სმიტ და ვისსონის“ სისტემისაა, მაგრამ სხვა და სხვა ქარხნებში გაკეთებული ამერიკისა, გერმანიისა და ბელგიისაში.

სასამართლოს სხდომები დასრულდა.

ამ საქმის შესახებ განაჩენი ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან.

## ქიზიყის ვითარება.

ქიზიყის ვითარება ეხლა ქიზიყელთა გაჭირვება შიმშილობაში გამოიხატება. ეს არის ჩვენი ქმუნვარე ასოწარკვეთილებამდე მიყვანა. ფიქრების დასაბამი, მაგრამ ვინ არის ჩვენი ყურის-მგდებელი.

საშინელი სიძვირეა ყველაფრისა და საარაკო უფულობა ჩვენკენ. ან საიდან ექნება წელს ქიზიყელთ ფული, როდესაც გვალვებისა გამო, არავითარი მიწის მოსავალი, ე. ი. სული, ღვინო და სხვა არ მოვიდა. ქიზიყელნი კი სწორედ ამ ჭირნახულისა და ღვინის მოსავლით იბრუნებენ ხოლმე სულს, ოჯახსაც აცხოვრებენ და ათას გვარ შინაურ, თუ გარეულ ხარჯ-გადასახადებსაც პირნათლად ისტუმრებენ.

თუმცა უფულობაა, მაგრამ ხარჯები თავისას ითხოვენ. ფოსტის ფული, სასოფლო აუცილებელი გადასახადები უნდა მოიმორონ ქიზიყელებმა, თორემ კარზე ასასივით მოსდგომიათ გზირი, იასაული და გაცატეხერებას უპირებს, თუ დროზე ვალი არ მოიმორა. ოჯახიც თავისას ითხოვს, მოთხოვნილებას დაკმაყოფილება უნდა ფული კი სადღა იშოვოს ქიზიყელმა, როდესაც რაც კი რომ გასაყიდი იყო, ყოველივე მიყიდულ-მოყიდულია, დასაგირავებელი დიდი ხანია დაგირავებული. სესხადაც კი ეხლა ძნელად-ღა იშოვება ფული.

და ამავე დროს შვიდი-რვა ვერსით, რომ მოშორდეთ ქიზიყის სოფლებს და გაკვრით დაათვალიეროთ მიდამო რუსეთიდან გადმოსახლებულთა ბინადრობა, მაგ., თუქურმიშა სვეჩინოვკისაკენ, ან ალაზან გაღმა მდებარე ვორონცოვკა ალექსეევკა და სოფლები, სურათი მთლად იცვლება და თქვენს თვალწინ გადაიშლება შედარებით ბედნიერი ცხოვრება. მიზეზი ასეთის სხვა და სხვაობისა ყველასათვის გასაგებია. ერთის მხრივ გადმოსახლებულნი სახნავ-სათესი და საძოვარი მიწებით უზრუნველ ყოფილნი არიან, სახეში რომ არ მივიღოთ ის გარემოება, რომ დასახლების დროს ათას გვარი შეღავათი ჰქონდათ მიცემული და ხარჯებიდანაც „განთავისუფლებულნი არიან. მეორეს მხრივ იმათი სახნავი მიწები ხამი მიწებია და გვალვისა მაგრე რიგად არ ეშინიანთ, ისიც რომ არა ვთქვათ, რომ ალაზან გაღმა მცხოვრებნი რწყავენ კიდეც თავიანთ მიწებს. ქიზიყელთა გამოფიტული მიწა კი ცოტაოდენ გვალვასაც ვერ იტანს, ამიტომ იყო, რომ წელს წელ-მოწყვეტილნი დასტოვა ქიზიყელნი.

გადმოსახლებულნი ნიადაგ დღე ეზიდებიან ჩვენს სოფლებში დატვირთულ „პოვოზკებს“ (ორ-ხარიან ურმებს), ფქვილით, კართოფილით, კომბოსტოთი, ზეთით და დიდძალ სულადსა და სანოვაგეს ასაღებენ...

ღმერთმა მშვიდობა მისცეთ... ჩვენ ჩვენ ბედსა ვჩივით... რახან მიწის სიმცირე, ავ-კარგიანობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი ურიგო არ იქნება მკითხველს მოვახსენო ორიოდე სიტყვა ს. ჯუგაანელების მიერ სახელმწიფო ბანკიდან ნაყიდ თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილისეულ მამულ „ქიაურზე“, რომელიც ალაზან გაღმა ზემოხსენებულ გადმოსახლებულთა მახლობლად მდებარეობს და უმიწობით გაჭირვებულ ს. ჯუგანელებს გაჭირვებაში სულს უბრუნებს. „ქიაური“ რამოდენიმე ათი წლის შემდეგ დარჩებათ ჯუგაანელებს საკუთრებად, უკეთუ ყოველ წელს პირნათლად შეიტანენ გადაწყვეტილ გადასახადს, თავ-თავის ვადაზე. მხოლოდ სავალალო ის არის, რომ ჯუგაანელებმა მგონია, ეს მეორედ ვადაზე შესატანი გადასახადი ვერ შეიტანეს თავიანთის უცოდინარობით, თუ „ქიაურის“ მოურავის (ჯუგაანელთა მიერ არჩეული) დაუდევრობით, ამბობენ, თუ ამ ერთ წელიწადში კიდევ არ შეიტანეს (მაგ. აპრილში) ხვედრი შესატანი, „ქიაურის“ მამულის საჯარო ვაჭრობით დაინიშნებაო. საჯარო ვაჭრობა კი, ჩვენის აზრით, ჯუგაანელნი ამ მამულს ველარ დაირჩენდნენ.

X.

ხილით ირღვევა, თორემ ადამიანთა ხმაურობა, ჟრიამული მას ვერ სწვდება; მონასტერი დასცილებია სოფელს, სადაც ადამიანთ გაუჩენია ბინა თვის მოუსვენარ ცხოვრებისათვის, და პირდაპირ ბუნების შუაგულში გარინდებულა. აქ, ამ მონასტერს, როგორც ამბობენ, შევკედლებია ერთი ღვთის მოსავი მეუდაბნოე. იგი მოსცილებია საზოგადოებრივ ცხოვრების მოუსვენრობას, ყველა სააქაო ცოდვის სადგურად დაუსახავს და იქ ბუნების წიაღში სურს დალიოს თვისი ცხოვრების უკანასკნელი დღენი. ყველა ამ სოფლიურ ფიქრსა და გრძნობას ჩაუძინია მის არსებაში და იგი მხოლოდ ზექვეყნიურ არსებობის ინტერესებით გამსჭვალულა. მას სურს თავის სულს ზვარაკად მიართვას ხორცის ყველა სურვილი, ყველა ლტოლვა და [illegible]აკი „განყენებულ წუთისოფლისაგან აქ სული მისი აღყვავებულა და ხორციელი გულის თქმა ყველა დამარხულა და განსვენებულა“. ცხადი იყო, რომ მისმა სულის ძლიერებამ სძლია ხორცის ლტოლვილება და იგი მზად იყო საიქიო საუკუნო ცხოვრებისათვის, მაგრამ განგებამ ერთს საშინელ საღამოს, როდესაც ბუნება საშინელის ქექა-ქუხილით მთლად ირყეოდა მას მოუვლინა მომხიბვლელ მშვენიერების ქალწული. იგი თავშესაფარს სთხოვდა განდეგილს და განდეგილმაც მიიღო ქალი თვის სენაკში. მაგრამ ეს საღამო საბედისწერო აღმოჩნდა განდეგილისათვის. როდესაც მან მიძინებული წარმტაცი მშვენიერების ქალწული დაინახა, მის ლოცვითა და მარხვით დასუსტებულს გულში რაღაც ცოცხალი, ამ ქვეყნიური გრძნობა აღიძრა. იგი თანდათან ძლიერებით ჰბოჭავდა განდეგილის არსებას და მას რაღაც გამოურკვეველ თავბრუ დამხვევ სიტკბოების მორევში ითრევდა, და აი დაიხარა კიდეც განდეგილი, იგი მზად იყო კოცნით აღებექდა მის სულის სიღრმეში მშფოთვარე გრძნობათა ზღვის მღელვარება, რომ უეცრად ესოდენი ტანჯვით მოპოებულმა სულმა თვალი გაახილა და ხორციელი გულისთქმით გატაცებული განდეგილი ერთბაშად შეაჩერა. თავზარდაცემული თვისის ძლევით განდეგილი გარედ გავარდა და მზის ამოსვლისას ისევ სენაკში შეიჭრა, დარწმუნებული იყო, რომ მისი სული ჯერ კიდევ არ არის ძლეული ხორციელის გულისთქმით, და რომ დაინახა სენაკში შეჭრილი მზის სხივი, მივარდა ლოცვანს, დააყრდნო მას, მაგრამ ლოცვანი სხივმა წინანდებურად არ დაიჭირა და განდეგილმაც აქედან თვისი ძლევა დაინახა და საშინელ სულიერ მღელვარების მსხვერპლმა იქვე სული განუტევა.

**დ. უზნაძე.**

(შემდეგი იქნება)

## ხმა ახალციხიდან

ოქტომბრის დამლევამდე მშვენიერი, თბილი ამინდები იყო ჩვენში; დადგა დეკემბერი და ჩამოყარა თოვლი; ამას საშინელი ყინვები მოჰყვა, რამაც დიდ შეწუხებაში ჩააგდო ზამთრისათვის მოუმზადებელი მცხოვრებნი, რომელთაც არავითარი საცხოვრებელი არ მოეპოებათ. ორიოდე დღეა პურისა და ხორცის ნიხრსაც აუწიეს გირვანქაზე თითო კაპეიკი, რამაც ერთობ სასოწარკვეთილებაში ჩაყარა იგინი.

სიცივეს ან სიმშილს ვინ ჩივის, რომ წყურვილი არ აწუხებდეთ. აქნობამდის, როგორც იყო ციხიდან გამოჰქონდა რაბათის ღარიბ ხალხს წყალი დიდი ვაი ვაგლახით, რის გამო ჩვენი ქალები დიდ უწმაწურს სიტყვებსაც ითმენდნენ ჯარის-კაცებთაგან. დადგა ზამთარი თუ არა იქიდგანაც აღარ აძლევენ სასმელ წყალსა. ხალხმა არ იცის, როგორ უშველოს თავს: აღარც შეშა, აღარც პური, აღარც წყალი...

მართალია, რაბათის ხალხს აქვს სკოლები და ბიბლიოთეკა, მაგრამ როგორც ნათქვამია, საქონელი პატრონს ეგვანებაო, ის დაწესებულებანიც ნივთიერად დიდ ხელმოკლეობას განიცდიან.

ჩვენი დედათა სასწავლებელი, რომელიც 35 წელიწადზე მეტია არსებობს თავის მიზანს სრულიად ვერ აღწევს. 1,200 მან. წლიური ხარჯი აქვს და ისე ვერ მოაწყო კომიტეტმა საქმე, რომ ჭრა-კერვის სწავლა შეეტანა სასწავლებელში, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მეტადრე ჩვენ ღარიბ ქალებისათვის.

ქართველ კათოლიკეთა სასწავლებელს, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია რაც არსებობს, ჯერ ქართულის მასწავლებელიც არ ჰყავს, სადაც სრულიად ქართული მოენე ყმაწვილები სწავლობენ. სამოქალაქო სამრევლო ერთ-კლასიან სასწავლებელში, რომელიც წელს გაიხსნა არც ერთი მასწავლებელიც არ არის ქართული ენის მცოდნე, რისგამო აღარც ქართულ ენის სწავლება სუფევს აქა.

ასევე ითქმის რაბათის წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკაზე. სულ იმას გაიძახიან, ბიბლიოთეკას არა ჰყავს მკითხველიო, რის მიზეზად ასახელებენ რომ ბიბლიოთეკას წიგნები არ აქვს და არც ხეირიანი ჟურნალ-გაზეთებიო. გვიკვირს, თუ რა ჰქმნეს იმდენი წიგნები, რითაც ორი სამი უშველებელი შკაფი სავსე იყო. ალბად ან დახიეს, ან დაჰკარგეს. ორივე შემთხვევაში კი გამგეობას გულციობას მიეწერება. იმედია, ახალი გამგე ბ-ნი ვ. დაფქვიაშვილისა დიდ უნარს გამოიჩენს ბიბლიოთეკის გაუმჯობესების საქმეში.

**შხამიანი ისარი.**

## სახალხო სახლში სალიტერატურო დილის გამმართველთა საყურადღებოდ.

ბატონებო, თუ ქალბატონებო! აგერ-მესამე თვეა რაც ტფილისიდან წავედი. მიუხედავად იმისა, რომ არც აქ ვიყავ და, მაშასადამე, არც არავისათვის თანხმობა არ გამომიცხადებია მონაწილეობა მიმეღო სალიტერატურო დილებში, ჩემს სახელს და გვარს გაზეთში განცხადებათა შორის მაინც ვკითხულობდი. მგონი, რომ ასეთი საქციელი ყოველ მართებულობას მოკლებულია. ან რა სახარბიელოა ჩემი სახელი იმდენად, რომ იმით ვინმემ ბოროტად ისარგებლოს. ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას დაუმსახურებელი საყვედურისაგან გამანთავისუფლოს და უსაყვედუროს იმათ, ვინც ადამიანისა და საზოგადოების ღირსებას ასე აბუჩად იგდებს.

**აპ. წულაძე.**

# არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

**ჯულფა.** მორტირის ბატარეამ თავრიზისაკენ გაილაშქრა და თან ორი დიდი ზარბაზანი წაიღო.

**გაზეთებიდან.**

**საერთო მდგომარეობა.**

17 დეკემბერს თავრიზში მყოფმა რუსეთის ელჩმა ბ-ნმა მილერმა რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს აცნობა, რუსის ჯარი თითქმის მთლად თავრიზში მოგროვდაო. რუსებისთვის რა ხანია, არა დაუშავებიათ რა. როგორც გამოირკვა, რუსებზე თავდასხმა მოუწყვია და ხელმძღვანელადაც ყოფილა აქაური გუბერნატორი ბატონიშვილი მირზა.

თავრიზში ეხლა 5000 რუსის ჯარის კაცია. დანარჩენები რეშტსა და ენზელში არიან. ენზელს კასპის ზღვის მხრით რუსის სამი გემი იცავს. რაც შეეხება თეირანს, იქ ჯარი ჯერ არ შესულა.

სპარსეთში მყოფ ჯარის უფროსად გამწესეს ქვეითა ჯარის 37 დივიზიის 2 ბრიგადის უფროსი გენერალმაიორი ნ. ი. ვორონანოვი, მის თანაშემწედ პოლკოვნიკი ჩაპლინი. გენერალი ვორონანოვი ხივისა და ოსმალეთის ომში იღებდა მონაწილეობას. ხივის ბრძოლაში დასჭრეს და ამისათვის წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვარი მიიღო.

— პარიზის გაზეთ „მატენს“ პეტერბურგიდან სწერენ: რუსეთს სრულიადაც არა განუზრახავს სპარსეთის რომლისამე ნაწილის დაპყრობა და ძველ შაჰის ხელახლად გამეფებაო.

— შირაზში დაჭრილი ინგლისის ელჩი ყაზვინს მიიყვანეს. ჭრილობა მსუბუქი და უმნიშვნელო აქვს, ელჩს თურმე, 8,000 ქაშკაელი დაეცა. ისინი კარგად იყვნენ შეიარაღებულნი, რადგან ამას წინად მთავრობამ საქარავნო გზის დასაცველად თოფები დაურიგა. ეშინიანთ, ვაი თუ შირაზიდან კაზრუნს წასულ ინდოელ 100 სიპაის გზაში დაეცნენო.

— ოსმალეთის პრესა ძალიან აღშფოთებულია რუსეთის მოქმედებით და ყოველ დღე ამჟღავნებს „რუსთა სისასტიკის“ დაუჯერებელ ამბებს.

— ამბობენ. რეშტში მყოფმა რუსეთის ელჩმა პოლიციის უფროსი და ენჯუმენის თავმჯდომარე დაიპატიმრაო.

**თეირანის მდგომარეობა.**

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს სწერენ: თავრიზის ბრძოლა, სამ დღეს გაგრძელდა და თეირანში კრიზისი გამოიწვიაო. ქალაქში ხმა დადიოდა მთავრობას თავგზა დაებნა, რადგან რუსეთი ულტიმატუმის მიღებას არ დაჰკმაყოფილდა და სპარსეთს ომი გამოუცხადაო. მთავრობამ (რეგენტმა და კაბინეთში მყოფმა ბახტიარებმა), ზომები მიიღო არეულობის მოსასპობად და ხალხის დასამშვიდებლად. კვირა დილას რეგენტმა მოიწვია დეპუტატები და გამოუცხადა, მთავრობის დადგენილების თანახმად მეჯლისი დათხოვნილ იქმნაო. დეპუტატები ამ ამბავმა ძალიან ააღელვა და მეჯლისს მიაშურეს, სადაც პროტესტის ფორმა უნდა შეემუშავებინათ. მაგრამ მეჯლისის შესავალ კარებთან ჟანდარმები იდგნენ და არ შეუშვეს. დეპუტატები ქალაქში გაიფანტნენ. ბევრმა მათგანმა, განსაკუთრებით დემოკრატებმა, სცადეს ქუჩაში კრების გამართვა, მაგრამ ჯარი და პოლიცია სამ კაცს ერთად არ ატარებდა, გაჰფანტავდა ხოლმე და ბევრიც დააპატიმრა. თუმცა რეგენტმა განაცხადა, არჩევნები ჩქარა მოხდებაო, მაგრამ ეს ამბავი არავისა სჯერა. ყველა ამბობს, მეჯლისის საქმე წასულია, მეორედ შეკრება აღარ ეღირსებაო. შედარებით ეხლა ქალაქში მშვიდობიანობაა. წესიერებას იცავს 2 ათასი ბახტიარი, პოლიცია, ჟანდარმები და 10 ათასამდე ჯარის კაცნი. მთავრობამ რუსეთის საქონლის ბოიკოტი გათავებულად გამოაცხადა. ვინც საბოიკოტოდ წააქეზებს, ან ტრამვაის ბოიკოტს იქადაგებს, სამხედრო სამხედრო სამართალში მისცემენ. ასე იმისთვის იქცევიან, რომ რუსეთს დაუმტკიცონ, ულტიმატუმის ყოველ მოთხოვნილებას ვასრულებთ უნაკლოდ და თუ თავრიზში რაიმე არეულობაა, სპარსეთის მთავრობის ბრალი არ არისო.

ბევრგან ძალიან აღელვა ხალხი მეჯლისის დათხოვნის და რუსეთის ულტიმატუმის მიღების ამბავმა. მთავრობას ბევრისაგან მოსდის საყვედური. ჯარის მოახლოვებამ მთლად დაუბნია დავთარი მთავრობას. მთავრობის გავლენა სატახტო ქალაქის საზღვარს არა სცილდება.

# ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

**ხარბინი.** მეოცე დივიზიის აჯანყებულმა ნაწილმა მანჯაიგუვანის სადგური დაიჭირა და მანჯურია ჩინეთს მოსწყვიტა. მიმოსვლის აღსადგენად იაპონელებმა რაზმი გაჰგზავნეს.

**პეკინი.** სატახტო ქალაქის გამგეობის წარმომადგენელთა კერძო კრებამ გადასწყვიტა, მთავარს ცინს დეპუტაცია გაუგზავნოს და სთხოვოს ბლომად შესწიროს ფული სამხედრო სთხოვოს საჭიროებისათვის და ესევე სხვა მთავრობასაც. თუ გადაჭრით უარი განაცხადეს ძალას მიმართონ. იუანშიკაიმ მეორედ ითხოვა სამსახურიდან გადადგომა. რადგან სატახტო ქალაქში შიშიანობაა, ხალხი საჩქაროდ იხიზნება. გაზვიადებულია ლუანჩეუსის ჯარის აჯანყებისა და პეკინზე გამოლაშქრების ამბავი.

**გაზეთებიდან.**

**სუნიატსენი.**

სუნიატსენის პრეზიდენტად არჩევის ამბავს ლონდონში დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ. მათის აზრით ასეთი არჩევა დროებითია, რადგან საშუალო ჩინეთი ქრისტიან სუნიატსენის პიროვნებაში და რესპუბლიკის გამოცხადებაში უცხოელთა გავლენას დაინახავსო. იმასაც ამბობენ, რომ სუნიატსენი დროებით აირჩიეს პრეზიდენტად და თუ იუანშიკაი პრეზიდენტობაზე დასთანხმდა, იგი ვიცე-პრეზიდენტად გადაიქცევაო. ახლახან ლონდონში ამბავი მოსულა, სუნიატსენის არჩევას მიზნად აქვს პეკინზე იმოქმედოს და საქმე გათავებულად მოაჩვენოსო. დამფუძნებელ კრებას შანჰაისა ან ჩიფუში, ალბად, იანვარში მოიწვევენ. ამბობენ, რუსეთი დაჟინებით მოითხოვს სუვერენიტეტისაგან განთავისუფლებასო.

— ჩინელ რევოლუციონერთა პარიზის კომიტეტს სუნიატსენისაგან დეპეშა მიუღია, რითაც იგი თავის გაპრეზიდენტებას აუწყებს. საფრანგეთის პრესა ჩინეთის რესპუბლიკის გამოცხადებას სიხარულით შეეგება. ზოგიერთი გაზეთი კი სწერს, ჩინეთის ერთ ნაწილში გამოცხადებულმა რესპუბლიკამ შეიძლება ანარქია გამოიწვიოს და ამას ჩინეთის დანაწილება მოჰყვესო.

— ვენაში ხმა დავარდნილა, მონგოლეთის ჩამოშორებისა და ჩინეთის რესპუბლიკის გამოცხადების გამო რუსეთმა პეკინს ულტიმატუმი გაჰგზავნა და იაპონის თანხმობით განზრახვა აქვს ჯარი გაჰგზავნოს პეკინსა და თურქესტანისაკენ. ევროპიელთა ელჩებმა ჩინეთის რესპუბლიკა არ აღიარეს.

# თეატრი და ხელოვნება

**სახაზინო თეატრი. ბენეფისი ქ-ნ ელენე თარხნიშვილისა.** იშვიათად გვინახავს ისეთი ბრწყინვალე დღესასწაული თვით სახელოვან არტისტებისაც კი, როგორიც წილად ჰხვდა ქ-ნ თარხნიშვილისას ოთხშაბათს, 21 დეკემბერს. თეატრის დარბაზი ხომ გაჭედილი იყო საზოგადოებით დი ვაშას ძახილს და ტაშს დასასრული არა ჰქონდა—ეს ჩვეულებრივი თანამგზავრი გარემოება იყო ხოლმე ამ მომღერალ ქალის თითოეული გასტროლისა. განსაცვიფრებლად დაგვრჩა ის ურიცხვი ყვავილთა კონები, კალათები, თაიგულები, და უძვირფასესი საჩუქრები, რომელთა დენას თითქოს ბოლო არ უჩანდა. ერთის სიტყვით, ქართველ საზოგადოების თანაგრძნობამ მრავალ-მეტყველ ძალად იფეთქა ქ-ნ თარხნიშვილის მიმართ. ამ თანაგრძნობაში თანასწორად სჩანდა: აღტაცება ხელოვნების ჭეშმარიტ ქურუმისადმი, ეროვნული თავმოყვარეობის კმაყოფილება, რომ ქართველმა შესძლო და მიაღწია ვოკალურ მუსიკის გამომეტყველების უმწვერვალეს საფეხურს და სათუთი გრძნობა სიყვარულისა მახლობელ ადამიანის მიმართ.

ამ საღამოს ქ-ნი თარხნიშვილისა დიდად იყო აღფრთოვანებული და განსაკუთრებულის გრძნობით მღეროდა. ასრულებდა იგი იმავე ვიოლეტას როლს „ტრავიატა“-ში, რომლითაც დაიწყო თვისი გასტროლები. ამ რიგობაზე, რადა თქმა უნდა, გაცილებით უკეთესი იყო. თითქოს ამ წარმოდგენისათვის განგებ შემოეკრიბა მთელი ძალა, თვისის ნიჭისა, რომ სამუდამოდ სამახსოვროდ დარჩენოდა საზოგადოებას მისი არტისტიული სახე და მადლ-მოსილება. თვით დრამატიულ განსახიერებას ვიოლეტას არსებისას თან როდი და სდევდა წინანდებური [illegible]ობა და ფრთა-შეკვეცილობა. მშვენიერი რამ იყო იგი მეოთხე მოქმედებაში, განსაკუთრებით სიკვდილის წინა ხანებში.

წარმოდგენის შემდეგ ქართველმა ინტელიგენციამ ვახშამი გაუმართა ქ-ნ თარხნიშვილისას ახალ კლუბის ფოიეში. ვახშამს სამოცამდე ქალი და კაცი დაესწრო. ბევრი სათანაგრძნობო სიტყვა წარმოითქვა. დალიეს, სხვათა შორის, სადღეგრძელო ქ. თარხნიშვილის მასწავლებელ ქალის ქ-მა დოტისა, რომელსაც დამწრე საზოგადოება დეპეშით მიესალმა. ნადიმი დილის ოთხ საათამდე გაგრძელდა.

ი.

**ქუთაისი.** შაბათს, 17 დეკემბერს, ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ **ვ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნა მ. დრეიერის 4 მოქმ. დრამა: **„ნორჩი თაობა“**. წარმოდგენამ მშვენიერის ანსამბლით ჩაიარა. ბ-ნმა ვ. მესხიშვილმა დიდის ბუნებრივობით გადმოგვცა ვერნერის სულის კვეთება. განსაკუთრებით კარგი იყო მეოთხე მოქმედებაში, როდესაც მისი შვილის ფრიდერის თვით-მკვლელობას გაიგებს; ეს ამბავი იმდენად თავზარ-დამცემი იყო მისთვის, რომ ის ვერ უძლებს ავადმყოფობას და ბრმავდება, ფრიდერის როლს ასრულებდა ბ-ნი **ბარველი**. მან ძალიან კარგად დაგვიხატა ფრიდერი. კარგი იყვნენ აგრეთვე: ქ-ნი **მ. მდივანი**. ერიკას როლში, ქ-ნი **ნ. ჩხეიძე** (ანნა მარი) და ბ-ნი **ყალაბეგიშვილი** მოხუცი (ფონ-შლეტტოვი). საზოგადოდ პიესამ ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა. სამწუხაროდ ხალხი ცოტა დაესწრო.

სასურველია, რომ ჩვენი დასი ამ დღესასწაულებში მაინც გაუმასპინძლდეს საზოგადოებას მხიარულ კომედიებით.

ბ—ა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტო)

21 დეკემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ვენა.** პრესა მსჯელობს საფრანგეთისა, ინგლისისა და რუსეთის გაზეთების აზრის გამო, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ავსტრიისაგან სა[illegible]თა შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოსაგან ფულის სესხებისა.

**ბრიუსელი.** მონსის ქვა-ნახშირის მაღაროების 25 ათასი მუშა გაიფიცა. ამბობენ, ხვალ საყოველთაო გაფიცვა დაიწყებაო. წესიერება არსად დარღვეულა.

ბრინჟის ქვა-ნახშირის მადნეულობის ოლქში მუშათა უმრავლესობამ გაფიცვა გადასწყვიტა.

**ვენა.** საარჩევნო რეფორმისათვის არჩეული კომიტეტი ისევ მუშაობს, თუმცა უკრაინელებმა თავი დაანებეს. „ნეიე-ფრეიე-პრეს“, იუწყება, პოლონელები სასკოლო და საეკონომიო საკითხზე რუსებს ეთანხმებიანო. შეიძლება დაუთმონ რამე რუსებს, მაგრამ დეპუტატების ნასამედ რიცხვს კი არ მისცემენ. გალიციის სეიმი 29 დეკემბერს გაიხსნება.

**ბუდაპეშტი.** თავისუფალ მოაზრეთა ორგანო „ვილაგში“ დაბეჭდილია ხორვატიის სეიმის დეპუტატ ბარიჩის წერილი ხორვატიის კრიზისის თაობაზე. სეიმი მადიარ-ხორვატიელთა უნიას ვერ დაუჭერს მხარს, ვიდრე მადიარ-ხორვატელთა შეთანხმებას ხელახლად არ განიხილავენ. ხორვატელთა ოპოზიცია მოითხოვს ხორვატულ ენის თავისუფლებას, უნგრელთა სკოლების შემცირებას; სარკინიგზო წესდების გაუქმებას, რადგანაც იგი ხორვატიელებს სჩაგრავსო.

**პორტსმუტი.** ახალწლის წინა ღამეს საუტგემპტონის საგრაფოში შოტლანდიელნი ჯარისკაცნი აჯანყდნენ, რადგან ახალწლის დღეს ყველა არ გაუნთავისუფლებიათ სამსახურიდან. საღამოს აჯანყებულნი აფიცერთა სახლებს ქვას ესროდნენ. ჯარის კაცნი მწყობრად დადგნენ, სერჟანტები ხიშტით დასჭრეს და ერთი მოჰკლეს. ერთმა აფიცერმა, კარგმა მოკრივემ, აჯანყებულებს წინადადება მისცა, ვინც ყოჩაღია, გამოვიდესო. აჯანყებულთა წარმომადგენელი აფიცერმა დაამარცხა, ჯარისკაცნი თან და თან დამშვიდნენ და სადგომებს მიაშურეს.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.

სილამაზე უმაღლეს ხარისხამდი

№ 4711.
ვარდის ფერი ბროლის
საპონი-

[illegible]

ფირდ მიულჰენსი
[illegible] 4711.
დაარსებული 1792 წ.



[illegible] 25 კ.
ყველგან იშოვება

(9—1537—2)

# ხელსაქმის
## ქ. რიგის მაღაზია
M-me მინასი.
ტფილისი, გოლოვის პ., № 6.
მიღებულია
## აუარებელი ახალი რამ. (10.1618.3)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
### ნ. ვ. აგრაამიანის
# სასწავლებლო კურსები
(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწვ. სამინისტროს მიერ.

### კურსი 4 თვისაა

სწავლა იწყება 15 იანვრის 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუხჰალტერიას და სხვ. [illegible]

**ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ გეგზავნებათ. თხოვნები მიიღება 25 აგვისტოდან, 9 ს.-დან 11 საათამდე, და 5 –7 ს.-მდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქუჩა, 22, საკუთარი სახლი, **ტელეფონი № 744.**
(10.1652.1)

„პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.
1860 წ. დაარსებული.
ოქროს მედალი პარიზისა 1900 წ.

## თმის საზრდელი „იის ექსტრაქტი“




Lotion Vègètale aux Violettes d'Antibes

ქერტლის საშუალება და თმის გასამაგრებელი

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (12—1294—1)

საბანკო სახლი
## ლ. ვ. ლანდაუ და ამხ.
კავკასიის სააგენტო
ტფილისი, მიხეილის პრ., № 65.
ტელეფ. 11—77.

აზღვევს 2 იანვრის მოგებიან ბილეთებს გაბათილებისაგან 8 მ. 75 კ. აგრეთვე ჰყიდის ვალის ნაწილობით გადახდით ბილეთებს. (2—1661—1)

# სამკურნალო
## დოქტ. ნაგასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.
დაარსებულია 1880 წელს.

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნაგასარდიანი: 11 11 ს. [illegible]

[illegible]

ს ა ღ ა მ ო თ:

[illegible]

11—12 ს. 606-ით წამლობა, კონსულტაციურად.

[illegible] (ფ. 1168.205)

გ ა მ ო ც ე მ ი ლ ი ა
# მასწავლებლობა
[illegible]

[illegible]

Адрес: Сем[illegible] ная у[illegible] д. 23, Кв. 1. [illegible]

(ნ. 1085.49)

ექიმი ვ. ნ. მამაკაიანი
[illegible]
ტელეფონი № 322. 25—1442—93.

## ვინებ სამკურნლო სამა-ტერო საქმეებს.

[illegible]
(23.958.1)

# სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

[illegible]

(ს. 1646.1)

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წ.
უ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ დ ი დ
პოლიტიკური, საზოგადოებრივ, და სალიტერატურო გაზეთი
# „სოვრემენნოე სლოვო“-ზე.
გამოდის ს.-პეტერბურგში.
[illegible]

[illegible]

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთში: | 12 თ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. |
| | 6 მ. | 4 მ 50 კ. | 3 მ. | 8 მ. 50 კ. | 55 კ. |
| | 12 მ. | 10 მ. | 7 მ. | 8 მ. 25 კ. | |

გაზეთის გასაცნობათ სანიმუშო ნომრებს უფასოდ ვგზავნით (3.1658.1)

მიიღება ხელის მოწერა 1912 წ.
ყოველდღიურ პოლიტიკურ, სალიტერატურო და საეკონომიო გაზეთ
# „რ ე ჩ“-ზე
7 წლიწ. გამოცემისა.
გამოდის ს.-პეტერბურგში.
### ვ. დ. ნაბოკოვისა და ი. ვ. პეტრუნკევიჩის
მ თ ა ვ რ ო ბ ი თ,
### პ. ნ. მილიუკოვისა და ი. ვ. გესსენის
მონაწილეობით და წინანდელ თანამშრომელთა შემადგენლობით.

წლიურსა და ნახევარ წლიურ ხელმოწერით ერთად 1912 წ., რომელნიც 1 თებერვლამდე გაზეთს გამოიწერენ, აძლევს 1912 წ. უფასოდ გაგზავნება

# გაზ. „რეჩის“ ყოველწლიური 1912 წ.,

[illegible]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ი ს ფ ა ს ი:

| | 12 თვ. | 9 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთში მ. | 12 | 9 | — | 6 | 5.10 | 4.15 | 3.15 | 2.15 | 1.10 |
| საზღ.-გარ. მ. | 20 | 15.75 | 11 | 9.50 | 7.75 | 6 | 4 | 2 |

[illegible] თ.—4 მ. 50 კ., 3 თ.—2 მ. 40 კ. 1 თ.—85 კ.

გაზ. „რეჩის“ მთავარ კანტორის მისამართი: С.-Петербургъ, ул Жуковскаго, № 2 [illegible].
„რეჩის“ სანიმუშო ნომრები უფასოდ ეგზავნებათ. (3—1659—1)

ს. ს. ამხ. „გ რ ა მ ო ფ ო ნ ი“ გ. ს. დავიდოვისა.
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 6, ტფილისის ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო ს ქ ვ ე შ

გრამოფონებისა და ფირფიტების საწყობი მთელ კავკასიაში.

აუარებელი ახალი ფირფიტები და ინგლისური გრამოფონები ლონდონის უკანასკნელ მოდელებისა.




ვინც სახელმწიფო სამსახურშია, ნაწილ-ნაწილ გამოსყიდვა შეუძლიან.

ჩვენ ვიყავით პირველი

მსოფლიოდ ცნობილი მარკა „მღერავი ამური“.



და პირველობა გვრჩება

# ა ხ ა ლ ი ა მ ბ ა ვ ი!

● ურყოფო გრამოფონი. ● (1—1546—1) ● ფასი 35 მან. ●


ტფილისი, სტამბა „შრომა“, მუხრანის ქუჩა